(სსმ 04.09.2006 N 119 მუხ. 1617)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.130.000.22.034.009.150

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 1024 2006 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

"საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ"

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N 614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 11-ე პუნქტის "ა" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს" თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 27 აპრილისN416 ბრძანება "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ".
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო (შემდგომში_ბიურო) არის საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის ცენტრი საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლთან (შემდგომში_ინტერპოლი), უცხო ქვეყნების

ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან (შემდგომში_ეცბ) და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან. ბიურო ჩამოყალიბებულია საქართველოს ინტერპოლში გაწევრიანებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და ინტერპოლის კონსტიტუციის (წესდების) მე-4 და 32-ე მუხლების საფუძველზე. ბიურო არის ინტერპოლის მუდმივმოქმედი ორგანო საქართველოში და წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს მთავარი სამმართველოს სტატუსით.

მუხლი 2.

ბიუროს გააჩნია საკუთარი ბეჭედი ინტერპოლის ლოგოს გამოსახულებით და თავის საქმიანობაში იყენებს ინტერპოლის სიმბოლიკას.

მუხლი 3.

1. საქმის წარმოება ბიუროში მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ხოლო ინტერპოლთან და უცხო ქვეყნების ეცბ-ებთან ინტერპოლის კონსტიტუციის შესაბამისად – ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და არაბულ ენებზე.

2. საჭიროების შემთხვევაში უცხო ქვეყნის ეცბ-ებთან თანამშრომლობისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ასევე სხვა ენებიც.

მუხლი 4.

ბიუროს უფროსი ანგარიშვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წინაშე.

მუხლი 5.

ბიურო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საკანონმდებლო აქტების, ინტერპოლის კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

თავი II. ბიუროს საქმიანობის ძირითადი ამოცანები

მუხლი 6.

ბიუროს საქმიანობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) უზრუნველყოს მუდმივი კავშირი ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან (შემდგომში_გენერალური სამდივნო), ინტერპოლის წევრი ქვეყნების ეცბ-ებთან და სხვა სამართალდამცავ უწყებებთან;

ბ) გაუწიოს დახმარება და კოორდინაცია საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა შესაბამის უწყებებს უცხო ქვეყნის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად საერთაშორისო დონეზე დამნაშავეობასთან ბრძოლაში;

გ) საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მის წინააღმდეგ ბრძოლა;

დ) დანაშაულის გახსნა-გამოვლენის მიზნით მჭიდრო თანამშრომლობა უცხო ქვეყნის პოლიციის ორგანოებთან;

ე) საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის, ადამიანის

უფლებების დაცვის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე ხელი შეუწყოს დამნაშავეობასთან საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის ეფექტურობას.

თავი III. ბიუროს კომპეტენცია

მუხლი 7.

ბიუროს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ოფიციალური და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა, რისთვისაც ახორციელებს კავშირს ინტერპოლთან, უცხო ქვეყნების ეცბ-ებთან და სხვა შესაბამის ორგანოებთან, საქართველოს სამართალდამცავ და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან;

ბ) დანაშაულის თავიდან აცილებისა და გახსნის მიზნით გენერალურ სამდივნოში და მისი წევრი ქვეყნების ეცბ-ებში აგზავნის საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებსა და შეტყობინებებს დამნაშავეების და ჩადენილი დანაშაულების თაობაზე, პირების, საგნების, ნივთების და დოკუმენტების ძებნის, ასევე სხვა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ;

გ) გენერალური სამდივნოდან და სხვა სახელმწიფოების ინტერპოლის ეცბ-ებიდან ამ მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებებისა და ინფორმაციების მიღებისა და დამუშავების უზრუნველყოფა, ქვემდებარეობის მიხედვით მათი სამართალდამცავი ორგანოების შესასრულებლად გადაცემა, საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური უწყების მიერ წარდგენილი მოთხოვნების რეალიზაციისათვის კოორდინაციის გაწევა, დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულების კონტროლის განხორციელება;

დ) სამართალდამცავ ორგანოებთან საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მონაცემთა ბაზების შექმნა (ფიზიკურ პირებზე, საგნებზე, ფაქტებზე, დოკუმენტებზე და სხვ.).

ე) საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებისა და შესაბამის უწყებებისათვის ინტერპოლის მოთხოვნების, ინტერპოლთან და მის წევრ ეცბ-ებთან თანამშრომლობის წესის და პირობების გაცნობა, მათი შემდგომი სრულყოფისათვის წინადადებების მომზადება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერპოლის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა;

ვ) ინტერპოლისა და სხვა სახელმწიფოების კრიმინალური სამსახურების დამნაშავეობასთან ბრძოლაში თანამშრომლობის ამსახველი მასალების ანალიტიკური მიმოხილვის წარმოება;

ზ) კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სხვა შესაბამისი უწყებებიდან ბიუროს საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაციის გამოთხოვა (მათ შორის სტატისტიკური);

თ) საინფორმაციო ბიულეტენების გამოცემა;

ი) ინტერპოლთან, მისი წევრი ქვეყნების ეცბ-ებთან, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა ინტერპოლის წესდებისა (კონსტიტუციის), სხვა ნორმატიული აქტების და ამ დებულების საფუძველზე;

ლ) გენერალურ სამდივნოსთან, ინტერპოლის წევრი ქვეყნების ეცბ-ებთან, ასევე საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან და შესაბამის უწყებებთან ინფორმაციის გაცვლის დროს ბიურო იყენებს სატელეფონო, სატელეგრაფო,

ელექტრონული ფოსტის, საფოსტო და სპეციალური კავშირის საშუალებებს;

ნ) საჭიროების შემთხვევაში უცხო ქვეყნის ეცბ-ში თავისი წარმომადგენლის მივლინება შესაბამის ეროვნულ პოლიციათა სამსახურებთან ოპერატიული ურთიერთქმედების ორგანიზაციისათვის.

თავი IV. ბიუროს ხელმძღვანელობა

მუხლი 8.

1. ბიუროს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. ბიუროს უფროსი:

ა) პასუხისმგებელია ბიუროზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ხელმძღვანელობს ბიუროს საქმიანობასა და კოორდინაციას უწევს (მოადგილის მეშვეობით) ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესრულებას;

გ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს ბიუროს სტრუქტურის, საშტატო განრიგის და საქმიანობის სრულყოფის შესახებ;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დასანიშნი ბიუროს თანამშრომელთა კანდიდატურების განხილვა- დამტკიცებას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით მინისტრს წარუდგენს წინადადებებს ბიუროს თანამშრომელთა პრემირების, წახალისების ან მათი დისციპლინარული პასუხისმგებლობის თაობაზე;

ვ) მინისტრს წარუდგენს წინადადებებს ბიუროს თანამშრომელთათვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ:

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიუროს თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისების ან დისციპლინარული სასჯელის ზომებს;

თ) ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე (დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ ბიუროს უფროსის მოადგილესთან წინასწარი შეთანხმებით), მინისტრს წარუდგენს დასამტკიცებლად ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების და მათში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრუქტურასა და უფლება-მოვალეობათა განაწილების წესს;

ი) პირადი ინიციატივით ან ბიუროს უფროსის მოადგილის წინადადებების და/ან წარდგინებების საფუძველზე სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე შუამდგომლობს იმ ფინანსური სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა ბიუროს ამოცანების შესასრულებლად;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნიშნავს და ათავისუფლებს ბიუროს თანამშრომლებს;

ლ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

მ) შუამდგომლობს მინისტრთან (კურატორ მინისტრის მოადგილესთან) ბიუროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ნ) პირადად ან რომელიმე თანამშრომლის მეშვეობით უზრუნველყოფს ინტერპოლის გენერალური ასამბლეის სესიებსა და ინტერპოლის ეგიდით მოწვეულ სხვა საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს წარდგენას;

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა

უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. ბიუროს უფროსის მოადგილე

1. ბიუროს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ბიუროს უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. ბიუროს უფროსის არყოფნისას უფროსის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

3. ბიუროს უფროსის მოადგილე კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია ბიუროს შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული დანაყოფებისა და ქვედანაყოფების საქმიანობაზე, ბიუროსათვის კვალიფიციური კადრების შერჩევაზე.

თავი VI. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფები და მათი კომპეტენცია

მუხლი 10. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფები

1. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფებია:

ა) საერთაშორისო ძებნის სამმართველო;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

გ) საერთო განყოფილება.

2. საერთაშორისო ძებნის სამმართველო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად.

3. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების და მათში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლება-მოვალეობების განაწილებისა და საქმიანობის წესს ბიუროს უფროსის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 11. საერთაშორისო ძებნის სამმართველოს კომპეტენცია

1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო ძებნის სამმართველო ახორციელებს:

ა) პიროვნებათა ძებნას მათი დაკავებისა და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით;

ბ) პიროვნებათა ძებნას მათი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით;

გ) საერთაშორისო ძებნაში მყოფ პირებზე ძებნის გაუქმებას;

დ) უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძებნას;

ე) საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის შემოწმების გზით პირთა იდენტიფიცირებას;

ვ) ამოუცნობი გვამების იდენტიფიცირებას შესაბამისი უწყებების დახმარებით;

ზ) საქმის გარემოებიდან გამომდინარე შესაბამისი ფერის სპეციალური ნიშნის – ცირკულარის გამოცემის თაობაზე გენერალურ სამდივნოსათვის შუამდგომლობით მიმართვას;

თ) უზრუნველყოფს კომპეტენტური ორგანოებისათვის საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირების, ძებნილი ავტო-სატრანსპორტო საშუალებების, კულტურული ფასეულობების შესახებ და დანაშაულთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციის მოპოვებას;

ი) საერთაშორისო ძებნილთა საინფორმაციო ბაზის შექმნას;

კ) დაკარგული კულტურული ფასეულობების ძებნას;

ლ) დაკარგული ცეცხლსასროლი იარაღის ძებნას;

მ) ყალბ ვალუტასთან და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას და აღნიშნული დანაშაულების გამოვლენის მიზნით შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობას;

ნ) ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას და აღნიშნული დანაშაულების გამოვლენის მიზნით შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობას;

ო) საქართველოს სამართალდამცავი და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისა და ინტერპოლის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შესახებ ინფორმაციის შემოწმებას;

პ) საქართველოს სამართალდამცავი და სხვა უფლებამოსილი ორგანოების, ინტერპოლის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ძებნის გამოცხადებასა და გაუქმებას;

ჟ) გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოსა და ინტერპოლის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოთა შორის ავტომანქანის დაბრუნების მექანიზმების შესახებ ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

რ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას და ინფორმაციულ უზრუნველყოფას უწევს ტერორიზმთან, ტრეფიკინგთან, ნარკოტიკულ საშუალებებთან, ფულის გათეთრებასთან, ორგანიზებულ და სხვა სახის დანაშაულთან ბრძოლას;

ს) ბიუროს საქმიანობის მიმართულებიდან გამომდინარე სხვა კანონიერ მოქმედებას.

მუხლი 12. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს კომპეტენცია

1. თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო ახორციელებს:

ა) ბიუროს კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ბ) სატელეფონო, სატელეგრაფო, ელექტრონული ფოსტის და სპეციალური კავშირის საშუალებით ინფორმაციის გაცვლას;

გ) I-24/7 სისტემის მუშაობის უზრუნველყოფას;

დ) ბიუროს კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას;

ე) კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფას;

ვ) ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით წერილების მიღებას და გაგზავნას;

ზ) ინფორმაციის შეტანას ბიუროს მონაცემთა ბაზაში;

თ) ეროვნული უსაფრთხოების ოფიცრის (NSO) ფუნქციების განხორციელებას;

ი) ევროპის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარებას;

კ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრებისა და ერთობლივი სემინარების მოწყობას;

ლ) საერთაშორისო შეხვედრებისათვის მოხსენებების მომზადებას;

მ) უცხო ქვეყნის ეცბ-ებიდან მიღებული და საქართველოს ეცბ-დან გასაგზავნი წერილებისა და სხვა დოკუმენტების შესაბამის ენაზე თარგმნას.

მუხლი 13. საერთო განყოფილების კომპეტენცია

1. საერთო განყოფილება ახორციელებს:

ა) ბიუროში შემოსული დოკუმენტების მიღებას, აღრიცხვას, დამუშავებას და ადრესატისათვის მიწოდებას;

ბ) ბიუროში მომზადებული დოკუმენტების შესაბამის ჟურნალებში აღრიცხვას, რეესტრში გატარებას, პაკეტების სათანადოდ გაფორმებას და მათი გაგზავნის უზრუნველყოფას;

გ) სარეგისტრაციო ჟურნალების დადგენილი წესით წარმოებას;

დ) ბიუროში ყოველწლიური ნომენკლატურის ფორმირებას;

ე) ბიუროში არსებული საიდუმლო დოკუმენტაციის ყოველწლიურ ინვენტარიზაციის ჩატარებას;

ვ) ბიუროს პირადი შემადგენლობისათვის საქართველოს შსს-ში და ბიუროში მომზადებული ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის აქტების გაცნობას;

ზ) განყოფილების ინფორმაციულ-ტექნიკურ ბაზაში მონაცემების შეტანას;

თ) ბიუროში წლის განმავლობაში არსებული ნომენკლატურული საქმეების წარმოებას და წარმოებით დამთავრებული საქმეების დახურვას, გაფორმებას, აკინძვას და დალუქვას;

ი) ბიუროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ წარმოებით დამთავრებულ საქმეთა ბიუროს არქივში მიღებას, აღრიცხვას და შენახვას;

კ) ბიუროს არქივში არსებული ვადაგასული საქმეების ჩამოწერას და მათ გასანადგურებლად მომზადებას.

მუხლი 14. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე.